## სარჩევი

1. შესავალი ..... 2

2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები ..... 2

2.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობაში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად ..... 2

2.2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები ..... 3

2.3. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ..... 4

2.4. პერსონალური მონაცემები, რომლებსაც მოიცავს წინამდებარე პოლიტიკა და მათი დამუშავების მიზნები ..... 4

3. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების უფლებები და მათი განხორციელება ..... 5

3.1. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების უფლებები ..... 5

3.2. მონაცემთა სუბიექტის მიერ წარდგენილი მოთხოვნის განხილვის ვადა ..... 7

4. არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ..... 7

5. კონფიდენციალურობის პოლიტიკის გადახედვა ..... 8

6. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ..... 8

Public

# პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

## 1. შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვა არის შპს „ათუ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) პრიორიტეტი. ამ კუთხით კომპანიის მიზანია ყველა შესაძლო კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს ამ კუთხით წარმოადგენს კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების პოლიტიკა. (შემდგომში „პოლიტიკა“ )

წინამდებარე პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დაცვა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პოლიტიკა აწესრიგებს ყველა იმ პირის პერსონალურ მონაცემებს, რომელთა მონაცემების მოპოვება და დამუშავება ხდება ავტომატურად, ან სხვა საშუალებით, და რომელთა მონაცემები წარმოადგენს მონაცემთა სისტემის ნაწილს, იმ ფარგლებში და მიზნებისათვის, რომლებიც მითითებულია წინამდებარე პოლიტიკაში.

## 2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები

2.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობაში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად

2.1.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა მოხდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება მოხდება კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის გარეშე. ამ კუთხით, პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ კანონის შესაბამისად, იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია კომპანიის საქმიანობის განსახორციელებლად.

2.1.2. პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული.

კომპანია იღებს ყველა საჭირო ზომას იმისათვის, რომ მოპოვებული პერსონალური მონაცემები იყოს ზუსტი და განახლებული მონაცემთა დამუშავების მთელი პერიოდის მანძილზე. ამისათვის, კომპანია ამკვიდრებს საჭირო მექანიზმებს, პერსონალური მონაცემების სიზუსტისა და საბოლოობის უზრუნველსაყოფად.

Public

2.1.3. პერსონალური მონაცემების დამუშავება კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, ლეგიტიმური მიზნისთვის

კომპანია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების მხოლოდ წინამდებარე პოლიტიკაში მითითებული მიზნით დამუშავებას. პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელ ფარგლებში. კომპანია ადასტურებს, რომ აღნიშნული მონაცემები არ დამუშავდება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

2.1.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შენახვის პერიოდი

კომპანია პერსონალურ მონაცემებს ინახავს (*) ვადით, რაც აუცილებელია მითითებული მიზნის მისაღწევად. აღნიშნული ვადის ამოწურვის, ან იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება პერსონალური მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს, ან შენახულ იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით.

2.1.5. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მონაცემთა დამუშავებისას მიღებულ იქნება ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

2.2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სუბიექტის თანხმობა არის მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველი იმისათვის, რომ კომპანიას მიეცეს მონაცემთა დამუშავების უფლება. გარდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობისა, მონაცემთა დამუშავება შესაძლოა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობებიდან ერთ-ერთი, ან რამდენიმე;

2.2.1. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

2.2.2. მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

2.2.3. კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;

2.2.4. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

Public

2.2.5. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელებისა და სხვა მსგავსი მიზნებისთვის;

2.2.6. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის, (მათ შორის, არასრულწლოვნის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

2.2.7. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად)

2.3. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად და წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად განსაზღვრულია მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება მოხდება წინამდებარე პოლიტიკაში გათვალისწინებული პრინციპებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კერძოდ, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

2.4. პერსონალური მონაცემები, რომლებსაც მოიცავს წინამდებარე პოლიტიკა და მათი დამუშავების მიზნები

2.4.1. კომპანიაში ვებგვერდზე შესვლისთანავე ავტომატურად, კანონიერად მოპოვებული და დამუშავებული იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ვებგვერდზე შესვლის თარიღი და დრო;

- ინტერნეტპროტოკოლის (IP) მისამართი;
- გამოყენებული მოწყობილობის სახე;
- გამოყენებული ვებბრაუზერის დასახელება;

2.4.2. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მოისურვებს კომპანიისთვის შეტყობინების დატოვებას, ვებგვერდის გამოყენებით, საჭირო იქნება შემდეგი საიდენტიფიკაციო/პერსონალური მონაცემების მითითება:

- სახელი, გვარი;
- ელ-ფოსტა;
- ტელეფონის ნომერი

2.4.1. პუნქტით განსაზღვრული მონაცემები მოპოვებული იქნება ავტომატურად, ხოლო 2.4.2. პუნქტით - უნდა შეისვოს მმხმარებლის მიერ.

აღნიშნული მონაცეემების დამუშავების საფუძველია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, კერძოდ, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

**3. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების უფლებები და მათი განხორციელება**

3.1. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების უფლებები

პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებს, გააჩნიათ კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი უფლებები:

3.1.1. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად, უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე, ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას, მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, ასევე, მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ;
- მონაცემთა მიმღების ვინაობის, ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

- ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე, მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი /სავარაუდო შედეგის თაობაზე.

3.1.2. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, იმ ფორმით, რომლითაც აღნიშნული დაცულია დამუშავებაზე პასუხისმგებელ/უფლებამოსილ პირთან. ამასთან, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს ასლების სხვა ფორმით გადაცემა, გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შესაძლებელია ტექნიკურად.

3.1.3. მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი, ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ, კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, საპასუხოდ იმოქმედოს შესაბამისად და გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები.

3.1.4. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განაადგურება. ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ, კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, საპასუხოდ იმოქმედოს შესაბამისად და შეწყვიტოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები.

3.1.5. მონაცემთა დაბლოკვის უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, იმ შემთხვევაში, თუ:

- მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;
- მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;
- მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;
- მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს მოთხოვნის განხილვა;
- არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა;

3.1.6. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთა დაკავშირებული უფლებები

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი გადაწყვეტილების მიღება:

- ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას
- აუცილებელია მონაცემთა სუბიექტისა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან შესასრულებლად.
- გათვალისწინებულია კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

3.1.7. თანხმობის გამოხმობის უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, კომპანია იმოქმედებს შესაბამისად და შეწყვეტს, წაშლის ან გაანადგურებს დამუშავებულ მონაცემებს.

3.1.8. გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, ან სასამართლოს და მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება განცხადების განხილვის დასრულების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

3.2. მონაცემთა სუბიექტის მიერ წარდგენილი მოთხოვნის განხილვის ვადა

მონაცემთა სუბიექტის მიერ ყველა ზემოთ ჩამოთვილი უფლების განხორციელების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, აღნიშნული მოთხოვნა განიხილოს და განახორციელოს შესაბამისი ქმედება მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

## 4. არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

არასრულწლოვნის შესახებ მონაცემთა დამუშავებას კომპანია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი თანხმობის საფუძველზე, თუ არასრულწლოვანმა 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი 16 წელს მიუღწეველია.

არასრულწლოვნის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება მოხდება მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

Public

კომპანია ადასტურებს, რომ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში დაიცავს და გაითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს.

## 5. კონფიდენციალურობის პოლიტიკის გადახედვა

წინამდებარე დოკუმენტი შესაძლოა დაექემდებაროს გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებას. ცვლილება გამოქვეყნდება ვებგვერდზე და ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე

## 6. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი

სახელი/გვარი:

ტელეფონის ნომერი:

ელ.ფოსტა:

Public